საქართველოს მთავრობის

დადგენილება №26

2011 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის 6^1 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) საქართველოში ან საზღვარგარეთ არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის ქვეყანაში ოფიციალური დილერის ან მწარმოებლის გარანტიის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება №79-ვებგვერდი,21.02.2011წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება №79-ვებგვერდი,21.02.2011წ.